შპს ,,ჯი-თი მოტორს”

კონფიდენციალურობის შეტყობინება

როგორ ვაგროვებთ, ვიყენებთ და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

ბოლო განახლება: აპრილი 2026

ვინ ვართ ჩვენ:

შპს ,,ჯი-თი მოტორს” არის BMW-ს, MINI-ს, BMW Motorrad-ის, Jaguar Land Rover-ის, Ford-ის და Suzuki-ის ,ბრენდების ავტორიზებული დილერი საქართველოში და Rolls_ Royce სერვისის ავტორიზებული წარმომადგენელი რეგისტრირებული მისამართზე, საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N155

რას მოიცავს ეს შეტყობინება:

ეს კონფიდენციალურობის შეტყობინება განმარტავს, თუ რა პერსონალურ მონაცემებს აგროვებს ,,ჯი-თი მოტორს“, როდესაც თქვენ სტუმრობთ ჩვენს ვებსაიტს, იყენებთ ჩვენს სერვისებს, ყიდულობთ ავტომობილს, ან გვიკავშირდებით - და როგორ ვიცავთ თქვენს უფლებებს.

სამართლებრივი საფუძველი

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად.

1. ვინ ვართ ჩვენ (მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი)

კომპანიის დასახელება	შპს ,,ჯი-თი მოტორს“
რეგისტრაციის მისამართი	0159, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 155
ვებ-გვერდი	www.gtmotors.ge
ელ. ფოსტა	info@gtmotors.ge
ტელეფონი	+995 32 259 50 00

შპს ,,ჯი-თი მოტორს“ არის მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი პერსონალური მონაცემებზე, რომლებიც შეგროვებულია ჩვენი ვებ-გვერდის, შოურუმების, სერვის ცენტრების და მომხმარებელთან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

2. ჩვენ მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები

პერსონალურ მონაცემებს რამდენიმე გზით ვაგროვებთ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ურთიერთობთ ჩვენთან:

2.1 როდესაც ჩვენ ვებ-გვერდს სტუმრობთ:

- IP მისამართი, ბრაუზერის ტიპი, ოპერაციული სისტემა, ნანახი გვერდები და სესიის ხანგრძლივობა (ავტომატურად გროვდება ქუქი-ფაილებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით);
- თუ შეავსებთ ვებ გვერდზე მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ველს: თქვენი სახელი და გვარი ელექტრონული ფოსტის მისამართი, და კომენტარი/მოთხოვნა;
- თუ ონლაინ რეჟიმში დაჯავშნით ტესტ დრაივს ან სერვისზე ვიზიტს: სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია, სასურველი ბრენდის ავტომობილი, თარიღი და დრო.

2.2 როდესაც ყიდულობთ ავტომობილს ან სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით:

- სახელი და გვარი, პირადი ნომერი (ID ნომერი), დაბადების თარიღი, საცხოვრებელი მისამართი; ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი;
- ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN), რეგისტრაციის დეტალები, გარბენი და მომსახურების ისტორია;
- გადახდის დეტალები მუშავდება უსაფრთხოდ რაც გულისხმობს, რომ საბანკო ბარათის მონაცემები არ ინახება შპს „ჯი-თი მოტორსის“ მიერ;
- ბანკის დაფინანსების გამოყენების შემთხვევაში - საკრედიტო განაცხადის პირობები და მონაცემები.
- საგარანტიო და მწარმოებლის ტექნიკური მოთხოვნები

2.3 როდესაც გვიკავშირდებით:

- სახელი და გვარი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი და თქვენი მოთხოვნის ან/და საჩივრის შინაარსი;
- სატელეფონო ზარის ჩანაწერები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- გაცნობებთ, რომ ზარის ჩაწერის დაწყებამდე თქვენ მოგეწოდებათ წინასწარი ხმოვანი შეტყობინება ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ და გექნებათ უფლება, უარი განაცხადოთ მასზე (მაგალითად, ზარის შეწყვეტით ან კომუნიკაციის სხვა არხის არჩევით).

2.4 ვიდეო მეთვალყურეობა

ჩვენი შოურუმები, სერვის ცენტრები და ავტოსადგომები კონტროლდება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებით, მომხმარებლების, პერსონალისა და სატრანსპორტო საშუალებების/სხვა მატერიალური ფასეულობების უსაფრთხოების მიზნით. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების ჩანაწერები ინახება მინიმუმ 2 კვირის განმავლობაში და მასზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ავტორიზებულ თანამშრომლებს. ჩანაწერები შესაძლოა შეინახოს უფრო მეტი ხნით, თუ ეს კონკრეტულ ინციდენტთან დაკავშირებით იქნება საჭირო. ჩვენს შოურუმებსა და სერვის ცენტრებში განთავსებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესაბამისი თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშნები.

3. როგორ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს

მიზანი	მაგალითი	იურიდიული საფუძველი
ავტომობილების გაყიდვები და მომსახურება	თქვენი შეკვეთის დამუშავება, თქვენი ავტომობილის მომზადება, სერვის ვიზიტების დაგეგმვა, ინვოისების გაცემა, ბრენდების რეგიონალურ ოფისებთან რეპორტების გაზიარება	ხელშეკრულება
გარანტიის მართვა	გარანტიის მოთხოვნების დამუშავება და მწარმოებლის გარანტიის სისტემებთან კომუნიკაცია. ასევე მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს ჩანაცვლებადი ავტომანქანის სერვისით სარგებლობის დროს.	ხელშეკრულება, მომხმარებლის თანხმობა
მომსახურების შეხსენებები და უსაფრთხოების ზომების გამოძახებები	თქვენი მომსახურების ვადის შეხსენების, შეტყობინებების და ავტომობილის უკან გაწვევა უსაფრთხოების მიზნით	მომხმარებლის ლეგიტიმური ინტერესის დაცვა
მომხმარებელთა მხარდაჭერა	მოთხოვნებზე პასუხის გაცემა, საჩივრების მართვა, დავების მოგვარება	საკანონმდებლო საფუძველი, მათ შორის საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ
მარკეტინგული კომუნიკაციები	ახალი მოდელების, შეთავაზებებისა და ღონისძიებების შესახებ სიახლეების გაგზავნა (მხოლოდ თქვენი თანხმობით)	თანხმობა
ვებსაიტის ანალიტიკა	ჩვენი ვებსაიტის მუშაობისა და შინაარსის გაუმჯობესება	მომხმარებლის თანხმობა cookie-ების თანხმობით
სამართლებრივი შესაბამისობა	საგადასახადო, საბაჟო და მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულება	საკანონმდებლო საფუძველი
უსაფრთხოება და თაღლითობის პრევენცია	ჩვენი შენობების, სისტემების დაცვა და თაღლითობის პრევენცია	ლეგიტიმური ინტერესების დაცვა

4. ქუქი-ფაილები

ვებსაიტი იყენებს ქუქი-ფაილებს თქვენი ვიზიტის გამოცდილების გასაუმჯობესებლად. თქვენ შეგიძლიათ მართოთ თქვენი ქუქი-ფაილების პარამეტრები ქუქი-ფაილების ბანერის მეშვეობით, როდესაც პირველად ეწვევით ჩვენს ვებსაიტს და შეგიძლიათ განაახლოთ თქვენი პარამეტრები ნებისმიერ დროს ჩვენი ვებსაიტის ქვედა ნაწილში არსებული ქუქი-ფაილების პარამეტრების ბმულის საშუალებით. არასავალდებულო ქუქი-ფაილები გააქტიურდება მხოლოდ თქვენი მკაფიო, წინასწარი თანხმობის შემდეგ.

ქუქი-ფაილების ტიპები	მიზანი	შეგიძლიათ უარი თქვათ?
აუცილებელი / ფუნქციური	ვებსაიტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია (შესვლის სესიები, ფორმების გაგზავნა, უსაფრთხოება)	არა — ეს ვებსაიტის მუშაობისთვის აუცილებელია
ანალიტიკა	Google Analytics ან მსგავსი — გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ იყენებენ ვიზიტორები ჩვენს ვებსაიტს.	დიახ — შეგიძლიათ უარი განაცხადოთ, ქუქი-ფაილების ბანერის საშუალებით
მარკეტინგი / რეთარგეთინგი	გამოიყენება სხვა ვებსაიტებზე ჯი-თი მოტორსის შესაბამისი რეკლამების საჩვენებლად	დიახ — შეგიძლიათ უარი განაცხადოთ, ქუქი-ფაილების ბანერის საშუალებით
უპირატესობა	იმახსოვრებს თქვენს ენასა და მდებარეობის პარამეტრებს	დიახ — შეგიძლიათ უარი განაცხადოთ, ქუქი-ფაილების ბანერის საშუალებით

5. ვის ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს

ჩვენ არ ვყიდით თქვენს პერსონალურ მონაცემებს. ჩვენ მათ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვუზიარებთ:

- BMW, MINI, BMW Motorrad, Jaguar Land Rover, Ford, Suzuki, Rolls-Royce — გარანტიის უზრუნველყოფის, ტექნიკური მხარდაჭერისა და მწარმოებლისთვის ანგარიშგების ვალდებულებების შესრულების მიზნით;
- ჩვენ IT და ღრუბლოვანი სერვის პროვაიდერებს — მკაცრად მონაცემთა დამუშავების შესახებ შეთანხმებების შესაბამისად;
- ჩვენ დამფინანსებელი პარტნიორებს — თუ თქვენ მიმართავთ ავტომობილის დაფინანსებას;
- სამთავრობო ორგანოებს — როდესაც ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო, საბაჟო ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით;
- სსიპ პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურს — თუ ეს მოთხოვნა გამომდინარეობს მარეგულირებელი ზედამხედველობის ფარგლებიდან;
- ყველა მესამე მხარე, რომელიც იღებს თქვენს მონაცემებს, ვალდებულია ხელშეკრულებით დაიცვას მათი კონფიდენციალურობა და გამოიყენოს მხოლოდ განსაზღვრული მიზნით.

6. მონაცემების საერთაშორისო გადაცემა

ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგარანტიო მომსახურების, ტექნიკური მხარდაჭერისა და მწარმოებლის სისტემებთან ინტეგრაციის მიზნით, როდესაც სხვადასხვა ინფორმაციული სისტემების გამოყენებით მონაცემებს ვუზიარებთ მწარმოებლებს, შესაძლოა თქვენი პერსონალური მონაცემები გადაეცეს სხვა სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში.

შპს „ჯი-თი მოტორს“ უზრუნველყოფს, რომ მონაცემთა ნებისმიერი საერთაშორისო გადაცემა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების სრული დაცვით. კერძოდ:

- სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნები: მონაცემები გადაეცემა იმ სახელმწიფოებს (მაგალითად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ან დიდ ბრიტანეთს), სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.
- სახელშეკრულებო დაცვა და ნებართვები: იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების გადაცემა ხორციელდება ისეთ სახელმწიფოში, სადაც საზედამხედველო ორგანოს მიერ არ არის აღიარებული სათანადო გარანტიების არსებობა, გადაცემები რეგულირდება შესაბამისი ფრენჩაიზული და დილერთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს დადებული ხელშეკრულებით, რომელიც მოიცავს მონაცემთა დაცვის ადეკვატურ ვალდებულებებს. ასეთ დროს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოპოვებული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ნებართვა.

უსაფრთხოების ზომები: ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღებას ნებისმიერი ასეთი გადაცემის წინ. კომპანია იღებს მონაცემთა უსაფრთხო გადაცემისთვის აუცილებელ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს.

7. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენ მონაცემებს

ჩვენ ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი მიზნის მისაღწევად ან კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად. მიზნის მიღწევის ან შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, შპს ,,ჯი-თი მოტორს” იღებს შესაბამის ზომებს, რათა თქვენი პერსონალური მონაცემები უსაფრთხოდ წაიშალოს, განადგურდეს ან შეინახოს დეპერსონალიზებული (ანონიმური) ფორმით ისე, რომ შეუძლებელი იყოს თქვენი იდენტიფიცირება.

8. თქვენი კონფიდენციალურობის უფლებები

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

თქვენი უფლება	**რას გულისხმობს ეს:**
ინფორმაციის მიღება და გაცნობა	უფლება გაქვთ, მოითხოვოთ დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენი მონაცემები, გაეცნოთ მათ და მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების ასლი.
მონაცემთა გასწორება, განახლება და შევსება	უფლება გაქვთ, მოითხოვოთ თქვენ შესახებ არსებული მცდარი, არაზუსტი ან არასრული პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება ან შევსება.
დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება	უფლება გაქვთ, მოითხოვოთ მონაცემების წაშლა ან განადგურება, როდესაც ისინი აღარ არის საჭირო თავდაპირველი მიზნისთვის, ან თუ თქვენ გამოიხმობთ თანხმობას (შენახვის კანონიერი მოთხოვნების გათვალისწინებით).
მონაცემთა დაბლოკვა	უფლება გაქვთ, მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება (დაბლოკვა) დავის ან სადავო საკითხების გარკვევამდე.
მონაცემთა გადატანა **(პორტაბელურობა)**	უფლება გაქვთ, მიიღოთ თქვენ მიერ მოწოდებული მონაცემები სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით, ან მოითხოვოთ მათი სხვა კომპანიისთვის გადაცემა
წინააღმდეგობის გაწევის/უარის თქმის უფლება	უფლება გაქვთ, წინააღმდეგობა გაუწიოთ თქვენი მონაცემების დამუშავებას, რომელიც ეფუძნება ლეგიტიმურ ინტერესებს. ასევე, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს უარი განაცხადოთ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე.
თანხმობის გამოხმობა	უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე გამოიხმოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობა. ეს გავლენას არ მოახდენს გამოხმობამდე განხორციელებული დამუშავების კანონიერებაზე. თქვენ მიერ უარის თქმის შემთხვევაში, კომპანია მარკეტინგულ შეტყობინებებს შეწყვეტს არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.
გასაჩივრების უფლება	თუ მიიჩნევთ, რომ მონაცემთა დამუშავებისას თქვენი უფლებები დაირღვა, უფლება გაქვთ, საჩივრით მიმართოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ან/და სასამართლოს
ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღებაზე უარი	უფლება გაქვთ, არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზებულად (მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე) მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა არსებითი მნიშვნელობის შედეგს. ასეთ შემთხვევაში (მაგალითად, დაფინანსების ავტომატური დამტკიცება/უარყოფა), თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის (ჩვენი თანამშრომლის) ჩართვა და თქვენი მოსაზრების გამოთქმა.

თქვენი ნებისმიერი უფლების განსახორციელებლად, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@gtmotors.ge ან ტელეფონის ნომერზე: +995 32 259 50 00. თქვენს მოთხოვნას ჩვენ ვუპასუხებთ დაუყოვნებლივ, კანონით დადგენილ ვადაში, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შესაძლოა გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც დაუყოვნებლივ გეცნობებათ

გთხოვთ გაითვალისწინოთ: თქვენი უფლება, მოითხოვოთ მონაცემების წაშლა ან დამუშავების შეწყვეტა, არ არის აბსოლუტური. ჩვენ შესაძლოა უარი გითხრათ მონაცემების წაშლაზე იმ შემთხვევაში, თუ მათი დამუშავება ან შენახვა კვლავ აუცილებელია ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, საგარანტიო პირობების უზრუნველსაყოფად ან სამართლებრივი მოთხოვნების დასაცავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თქვენს შესახებ არსებული მონაცემების გაცნობა და მათი ასლების მიღება იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი ჩვენთან ინახება, უზრუნველყოფილია უსასყიდლოდ. თუმცა, თუ თქვენ მოითხოვთ მონაცემთა ასლების მოწოდებას იმ ფორმისგან განსხვავებული ფორმით, რომლითაც ის ჩვენთან ინახება, და თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, შპს „ჯი-თი მოტორსს“ უფლება აქვს დააწესოს გონივრული საფასური, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მოთხოვნის შესრულებისთვის ფაქტობრივად დახარჯული რესურსის ოდენობას. თუ თქვენი

მოთხოვნები ატარებს არაგონივრულად ხშირ ხასიათს, კომპანია უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე.

9. როგორ ვიცავთ თქვენს მონაცემებს

შპს „ჯი-თი მოტორს“ თქვენი პერსონალური მონაცემების დასაცავად ახორციელებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უსაფრთხოების ზომებს, მათ შორის:

- მონაცემთა დაშიფვრა როგორც ტრანსპორტირებისას (HTTPS/TLS) ასევე შენახვისას;
- წვდომის კონტროლი: მხოლოდ უფლებამოსილ პერსონალს შეუძლია თქვენს მონაცემებზე წვდომა, მათი როლის შესაბამისად;
- ჩვენი სისტემების რეგულარული უსაფრთხოების ტესტირება და დაუცველობის შეფასება;
- თანამშრომლების ტრენინგი მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციული/კიბერ უსაფრთხოების შესახებ;
- მონაცემთა დამუშავების შეთანხმებები ყველა მესამე მხარის პროვაიდერთან, რომლებიც ამუშავებენ თქვენს მონაცემებს;

მონაცემთა უსაფრთხოების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის თქვენს უფლებებს, ჩვენ კანონით დადგენილ ვადაში (არაუგვიანეს 72 საათისა) ვაცნობებთ საზედამხედველო ორგანოს, ხოლო გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე - პირადად თქვენ

10. ბავშვების მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ჩვენი ვებსაიტი და სერვისები განკუთვნილია ზრდასრულებისთვის. ჩვენ არ ვაგროვებთ პერსონალურ მონაცემებს 16 წლამდე ასაკის ბავშვებისგან მშობლების ან მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე. გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუ ფიქრობთ, რომ არასრულწლოვანმა მოგვაწოდა პერსონალური მონაცემები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ და ჩვენ დაუყოვნებლივ წავშლით მათ.

11. ბმული სხვა ვებ-გვერდებზე

ჩვენი ვებსაიტი შეიძლება შეიცავდეს ბმულებს ჩვენი პარტნიორი მწარმოებლების (BMW, JLR, Ford, Suzuki, MINI, RRMC) და სხვა მესამე მხარეების ვებ-გვერდებზე. ამ ვებ-გვერდებზე აქვთ საკუთარი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და შპს ,,ჯი-თი მოტორს” არ არის პასუხისმგებელი მათ შინაარსზე ან პრაქტიკაზე. გირჩევთ, ნებისმიერი პერსონალური მონაცემების მიწოდებამდე გაეცნოთ მათ კონფიდენციალურობის შეტყობინებებს.

12. ცვლილებები ამ კონფიდენციალურობის შეტყობინებაში

შესაძლოა, დროდადრო განვაახლოთ ეს კონფიდენციალურობის შეტყობინება, რათა ასახავდეს ჩვენს პრაქტიკაში, სამართლებრივ მოთხოვნებში ან ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მომსახურებაში განხორციელებულ ცვლილებებს. ამ შეტყობინების ზედა ნაწილში მითითებული „ბოლო განახლების“ თარიღი მიუთითებს, თუ როდის იყო ის ბოლოს შესწორებული. ჩვენ შეგატყობინებთ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, თუ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია გვაქვს.

13. დაგვიკავშირდით

თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა ამ კონფიდენციალურობის შეტყობინებასთან, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესთან დაკავშირებით ან გსურთ თქვენი უფლებების გამოყენება, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

მონაცემთა დაცვის საკონტაქტო პირი	შპს ,,ჯი-თი' მოტორს"
ელ. ფოსტა	info@gtmotors.ge
ტელეფონი	+995 32 259 50 00
მისამართი	0131, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მეფე დავით აღმაშენებლის ხეივანი 155
საზედამხედველო ორგანო	სახელმწიფო აუდიტის სამსახური

© შპს ,,ჯი-თი'' მოტორსი | ყველა უფლება დაცულია

ეს კონფიდენციალურობის შეტყობინება ბოლოს განხილული და განახლებული იქნა 2026 წლის აპრილში

შპს ,,ჯი-თი'' მოტორსი რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ექვემდებარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს.